ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის

<u>ლევან ჟორჟოლიანის</u>

(2019 წლის პირველი ნოემბრიდან - 2020 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით)

საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2019 წლის პირველი ნოემბრიდან 2020 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ ვარ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი, რომლის ფარგლებშიც, **2019 წლის პირველი ნოემბრიდან - 2020 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით** მონაწილეობა **მივიღე 16 სხდომაში** და **განვიხილე 21 საკითხი.**

ამასთან, გახლავართ დედაქალაქის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი და რამდენადაც, დღესდღეობით დედაქალაქისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს გარემოს დაცვა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება, როგორც კომისიის წევრი, მუდმივად ვინტერესდები ამ სფეროში განხორციელებული საქმიანობითა და არსებული ნოვაციებით. შესაბამისად, აქტიურად ვარ ჩართული მიმდინარე პროექტების განხილვაში. საანგარიშო პერიოდში დავესწარი გარემოს დაცვის კომისიის **13 სხდომას** და შევისწავლე **90 საკითხი.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, აღნიშნულ პერიოდში შემოსულია **500-მდე** განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება, ასევე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა ასობით მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ **2019 წლის პირველი ნოემბრიდან - 2020 წლის 26 ოქტომბრის** ჩათვლით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა **19 (ცხრამეტი)** სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განხილულ იქნა **267 განკარგულებისა** და **131 დადგენილების პროექტი.**

ზემოხსენებულ სხდომებზე დეტალურად შევისწავლეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები. ნორმატიული აქტების პროექტებზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის

ფარგლებში, კომისიას გააჩნდა როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა პრეამბულისა და თავად პროექტის მუხლების ტექნიკურ, სამართლებრივ, შინაარსობრივ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული/წარდგენილი შენიშვნები გაიზიარა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, თავად ჩვენ (კომისია) მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

წარმოდგენილ ანგარიშში ცალკეულად გამოვყოფ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც განხილულ და მხარდაჭერილ იქნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

<u>გრანტის მიღების საკითხი:</u>

- საანგარიშო პერიოდში განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

  აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს („EBRD“) შორის, 2018 წლის 27 ნოემბერს, გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც მიზნად ისახავს, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად, თანმიმდევრული ნაბიჯების გრძელვადიანი ხედვის გაწერასა და დედაქალაქში ნარჩენების მართვის ევროპული სტანდარტების დანერგვას, გათვალისწინებულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებისათვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა.

  „ევროკავშირთან ასოცირების შესახებ“ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველო აქტიურად ახორციელებს, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ კანონმდებლობასთან, **XXVI დანართში** მითითებული დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შედეგად მიღებულმა ნარჩენების მართვის კოდექსმა, ნარჩენების

მართვის ეროვნულმა სტრატეგიამ და გეგმამ, ნარჩენების მართვის სრულიად ახალი სისტემის დანერგვას ჩაუყარა საფუძველი, მათ შორის, **დაადგინა მუნიციპალიტეტების ვალდებულებები ნარჩენების მართვის კუთხით.**

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, EBRD-ის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია, რომელთანაც თბილის მერია შეთანხმდა საკონსულტაციო ხელშეკრულების პროექტზე და აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარჯების დაფარვის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყო გრანტი, გამარჯვებული კომპანიის ფინანსური წინადადებით წარმოდგენილი თანხის ოდენობით, რომელიც შეადგენს - **490 390,00 ევროს.**

<u>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის საკითხები:</u>

აღსანიშნავია ქონების გადაცემის საკითხები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლით, რამდენადაც, ხდება **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** უძრავი ქონების გადაცემა **იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ** შესაბამისი უძრავი ქონებით.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა ქონებათა გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებში **550**-მდე ოჯახს გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული ფართები **122** სხვადასხვა მისამართზე.

<u>კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა:</u>

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ხორციელდება/განხორციელდა ზემოხსენებული პირებისათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა.

საანგარიშო პერიოდში **ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ასობით წევრი/მათი უფლებამონაცვლე დაკმაყოფილდა** 5 სხვადასხვა მისამართზე.

ბიუჯეტი:

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- 2019 წლის 20 ნოემბრისა და 26 დეკემბრის სხდომებზე - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. **(ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტი).** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები და ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით გაიზარდა **1 400.6 ათასი ლარით** და შეადგინა **1 021 400.0 ათასი ლარი**.

- მ/წლის 3 აპრილის და 14 ივლისის სხდომებზე განხორციელებულ **ბიუჯეტის ცვლილების პროექტებს.**

- ასევე, მ/წლის 3 აპრილის სხდომაზე გავეცანით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.**

სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით:

საანგარიშო პერიოდში „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-48** დადგენილებაში არაერთი ცვლილება განხორციელდა.

დედაქალაქის მერიის ცხელ ხაზზე დაფიქსირებული ზარებიდან გამომდინარე, რომლითაც მოსახლეობა ითხოვდა ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას და მარშრუტებზე ავტობუსების რაოდენობის გაზრდას განხორციელდა ცვლილებები არაერთი მარშრუტის სქემებში.

ასევე, მონაწილეობა მივიღე სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სხვადასხვა დადგენილების პროექტების შესწავლასა და სამართლებრივ-ტექნიკური კუთხით გამართვაში. მათ შორის: ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის **№24-80** დადგენილებაში, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2016 წლის 27 დეკემბრის N33-99** დადგენილებასა და სატრანსპორტო საკითხების მარეგულირებელ არაერთ დადგენილებაში.

საყურადღებოა, რომ საქართველოს კანონსა **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და სხვა საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ, თანმდევი ცვლილებები განხორციელდა ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებშიც, კერძოდ:**

შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ:

- „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

  კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა **2020 წლის 1 მარტამდე** მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დადგენა.

- ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის **№20-82** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ,,საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის **№20-81** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **№17-47**დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:

დედაქალაქში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით არაერთი ცვლილება შევიდა ასევე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის **N39-18** დადგენილებასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში, ხოლო მე, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

თავმჯდომარე ჩართული ვიყავი მათი სამართლებრივი ასპექტების შესწავლასა და დახვეწაში.

- მათ შორის, მ/წლის 9 ივნისის სხდომაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში:

  დღეის მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მრავლად ვხვდებით საცხოვრებელი ტიპის ავარიულ შენობა-ნაგებობებს, რომელთაც ყავთ მესაკუთრეები, თუმცა მათი ავარიულობის ხარისხიდან გამომდინარე ვეღარ სარგებლობენ აღნიშნული ფართებით. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს თავის მოქალაქეებს მათი საკუთრების განვითარებასა და გამოყენებაში, ამასთანავე მუნიციპალიტეტში აღარ იყოს ასეთი ტიპის შენობა-ნაგებობები, **ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რიგი ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, რაც პირდაპირ იქნება დაკავშირებული როგორც მესაკუთრეთა ასევე მუნიციპალიტეტის ინტერესებთან.**

  ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება შევიდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ წესებს დაემატა V[1] თავი, რომლის მიხედვით, **V კატეგორიის ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შესაძლებელი იქნება გამოყენებული იქნეს ხელშემწყობი ღონისძიებები, კერძოდ:**

  ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა.

  აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებები გამოიყენება ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით გამოყენებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე. ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა საკრებულოსთან შეთანხმებით.

  აღსანიშნავია, რომ პროექტი ეხება მხოლოდ იმ ავარიულ შენობა-ნაგებობებს, რომელთა ავარიულობის ხარისხი არის **V კატეგორიის.** თუმცა, გამომდინარე იქიდან,

რომ დედაქალაქში მრავლადაა მათ შორის IV კატეგორიის ავარიულობის ხარისხის მქონე შენობა-ნაგებობები, მუნიციპალიტეტს ამავე დადგენილებით დაევალა შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა IV კატეგორიის ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით ხელშემწყობ ღონისძიებებზეც.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან დაკავშირებით:

საანგარიშო პერიოდში ასევე დავამუშავეთ და მივიღეთ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის **№12-29** დადგენილებით დამტკიცებულ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, სახურავის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციისა და სართულშუა ნაპრალების შესაკეთებელ სამუშაოებზე, გამგეობისგან დაფინანსების მისაღებად ამხანაგობის მიერ საკუთარ ანგარიშზე განსათავსებელი აუცილებელი სადანახარჯო შენატანის ოდენობა შემცირდა **5%-მდე.** (იყო არანაკლებ 10%).

აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამხანაგობები ვერ აგროვებდნენ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების არანაკლებ 10%-ს და შედეგად, პრობლემა მოუგვარებელი რჩებოდა.

ასევე, პროექტის თანახმად, მოხდა სადანახარჯო შენატანების გადახდის ვალდებულებისგან მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის მქონე ამხანაგობის წევრების განთავისუფლება.

გარდა ამისა, **განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ არაერთ მნიშვნელოვან პროექტს,** რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების შინაარსობრივ და ტექნიკურ გამართვას ისახავდა მიზნად.

ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ არაერთ დადგენილებაში.

ასევე, სოციალური მიმართულების კუთხით საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა განკარგულება "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის **„სოციალური მზრუნველობის სააგენტოს" დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ".**

პროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს მიღებულმა **„ბავშვის უფლებათა კოდექსმა"**, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი იყვნენ **2020 წლის 1 მარტამდე,** მოეხდინათ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურების განსაზღვრა. ამასთან, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა **„სოციალური მუშაობის შესახებ"** საქართველოს კანონი, რომელიც ადგენს მუნიციპალიტეტის დელეგირებულ უფლებამოსილებებს სოციალური მუშაობის სფეროში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 2020 წლის 2 მარტიდან დაფუძნდა ა(ა)იპ **„სოციალური მზრუნველობის სააგენტო"** რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება, ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი, სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა, შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა და სხვა.

აქვე მოკლედ შევეხები, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქვეყანაში არსებული პანდემიის პერიოდში გატარებული ღონისძიებების საკითხს და იმ სამართლებრივ აქტებს, რომელთა შემუშავებისა და სამართლებრივ-ტექნიკური თვალსაზრისით დახვეწის პროცესშიც მონაწილეობას ვღებულობდი.**

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ახალი კორონა ვირუსის" – „COVID-19"-ის საქართველოში დაფიქსირებისთანავე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო შესაბამისი ზომები, გაიზიარა საერთაშორისო მითითებები და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოები ყოველდღიურად ზრუნავდნენ იმ ფიზიკური თუ იურიდიულ პირების მდგომარეობის შემსუბუქებაზე, რომელთა სოციალური პირობები ქვეყანაში არსებულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა.

აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ პერიოდში **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოქალაქეთა ინტერესებიდან გამომდინარე, არაერთი ხელშემწყობი ღონისძიების სამართლებრივი რეგლამენტირება მოხდა:**

1) იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე იმისათვის, რომ კიდევ უფრო არ გაუარესებულიყო მეწარმე სუბიექტების ფინანსური მდგომარეობა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის ფორმით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების**

გათავისუფლება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მარტის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებული იყო ჯამში დაახლოებით 153 მოქმედი ხელშეკრულება და ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენდა დაახლოებით 603 000,00 ლარს).

გარდა ამისა, შეღავათები შეეხო არაერთ მცირე და საშუალო მეწარმეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) მიმღებს პირებს, **რაც გულისხმობდა 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირის შეცვლას და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას** (აღსანიშნავია. რომ 2020 წლის მარტის თვის მდგომარეობით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტსა და ასეთ მოსარგებლეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 500-მდე მოქმედი ხელშეკრულება).

2) ცვლილებები განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N19-72** და **N19-78** დადგენილებებში და 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება საგანგებო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების შემდეგ, არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრისა, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ.**

3) ასევე, ცვლილება იქნა განხორციელებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-46** დადგენილებაში, რომლის თანახმად, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი არ დაერიცხათ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ფუნქციონირებდნენ (შეწყვეტილი ჰქონდათ საქმიანობა ან სხვ.) და შესაბამისად არ წარმოქმნიდნენ ნარჩენებს.**

ამრიგად, მიღებული დადგენილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების **მოსაკრებლის დარიცხვა შეუწყდა დაახლოებით 14 000-ზე მეტ კატეგორიას (9 300-ზე მეტი აბონენტი), რომელთა ყოველთვიური სავარაუდო დარიცხვა შეადგენდა 861 565-მდე (რვაას სამოცდაერთი ათას ხუთას სამოცდახუთი) ლარს.**

4) შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა ასევე, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის **N52-9** დადგენილებითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის **№52-10** დადგენილებით დამტკიცებულ წესებში და **შემდეგი ქვეპროგრამების:** ა) ,,უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში" და ,,უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში" ბ) ,,უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" გ) ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია" **მომსახურების მიმწოდებლებმა მიუხედავად საგანგებო მდგომარეობისა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისაგან ავანსის სახით მიიღეს მარტის, აპრილის, მაისისა და ივნისის ანაზღაურება, რათა უხელფასოდ არ დარჩენილიყვნენ ქვეპროგრამაში დასაქმებული პირები.**

აქვე აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, გამგეობების წარმომადგენლების, ასობით მოხალისე ახალგაზრდის ჩართულობითა და სხვადასხვა კომპანიების დახმარებით საკვები პროდუქტებითა და ჰიგიენური საშუალებებით **დახმარება გაეწია 1500-მდე მრავალშვილიან ოჯახს, 8000-მდე მარტოხელა მოხუცს და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს.** აღნიშნულ პროცესებშიც ჩართული ვიყავი ჩემს კოლეგებთან ერთად.

აქვე მსურს შევეხო დღეისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეალობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ **დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი ერთ-ერთი უმწვავესი თემაა დედაქალაქისთვის, როგორც ურბანული, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.** დედაქალაქში ათასობით ოჯახია დაზარალებული, რომლებიც სახელმწიფოსგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ელოდებიან.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა **დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია,** რომელიც შეისწავლის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაინტერესებულ პირთა განცხადებებს/წინადადებებს და გასცემს რეკომენდაციას დაზარალებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ **2019 წლიდან ვარ ზემოხსენებული კომისიის წევრი.**

აქვე **მოკლედ შევეხები იმ საკითხებს, რომელთა შემუშავებისა და სამართლებრივი კუთხით გამართვის პროცესში უშუალო მონაწილეობას ვღებულობდი, როგორც მერიის ზემოხსენებული კომისიის მუშაობის, ასევე შემდგომში მათი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განხილვის ეტაპზე:**

- 2019 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ, **"შპს „ცერერასთვის" (ს/ნ 220355835)** დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომელიც ეხებოდა მისამართზე - დიღმის მასივი, მარშალ გელოვანის 53ა-ში (ს/კ N01.13.04.004.016) არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას;

- ამავე სხდომაზე მხარი დავუჭირეთ **„შპს ,,ოპტიმასთვის" (ს/ნ 405160819)** დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, აღნიშნული **საკითხი ეხებოდა კომპანია ,,სვეტის" დაუსრულებელ მშენებლობებს, რომლებიც სამშენებლო კომპანია "M კვადრატმა" გადაიბარა, შედეგად, კომპანია "სვეტის" მიერ დაზარალებულ ასობით ოჯახს, მოუგვარდება პრობლემა და მოხდება მათი დაკმაყოფილება.** პროექტი ეხება "სვეტის" სამშენებლო ობიექტებს, ნუცუბიძის, მირცხულავას და ჭყონდიდელის ქუჩებზე;

- მ/წლის 15 მაისის სხდომაზე დავამუშავეთ და მხარი დავუჭირეთ **„ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13ა, N13ბ, N13გ** (ს/კ N01.14.14.001.121, N01.14.14.001.122, N01.14.14.001.123) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით **შპს ,,იქსორი თამარაშვილზე"- თვის** (ს/ნ 405210711) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს;

- ამავე სხდომაზე მივიღეთ „ქ. თბილისში, **ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა N1** (ს/კ N01.14.14.003.122) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით **შპს ,,გუმბათი ჰოლდინგი+"-სთვის** (ს/კ 404582073) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

- მ/წლის 9 ივნისის სხდომაზე შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ „ქ. თბილისში, **ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34** (ს/კ N01.14.03.040.220) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით **შპს ,,იქსორი ქავთარაძეზე"-სთვის** (ს/კ 405341447) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მშენებლობას ჰყავს დაზარალებული 132 პირი.

- მ/წლის 8 სექტემბრის სხდომისათვის დეტალურად შევისწავლეთ და მივიღეთ **,,ქ. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის** (ს/კ: N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით **შპს ,,ვენა დეველოპმენტ ალიანსის"** (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, აღნიშნულ მშენებლობას დაახლოებით 250-მდე დაზარალებული ოჯახი ჰყავს.

- მ/წლის პირველი ოქტომბრის სხდომაზე დავამუშავეთ და მხარი დავუჭირეთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს: ,ქ. თბილისში, **შარტავას ქ. N43** (ს/კ N01.10.13.015.069) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით **იბა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის"** (ს/ნ 205176628) და **სს ,,ნიუ დეველოპმენტის"** (ს/ნ 405375277) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე". ,,ოლიმპიური ვარსკვლავის" ხსენებულ დაუმთავრებელ მშენებლობას ჯამში 400 დაზარალებული ოჯახი ჰყავს.

- და ბოლოს, მ/წლის პირველი ოქტომბრის და 20 ოქტომბრის სხდომებზე შევისწავლეთ და მხარი დავუჭირეთ **,,ცენტრ პოინტის" დაუმთავრებელი მშენებლობებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ საკმაოდ მოცულობით პროექტებს 6 სხვადასხვა ობიექტზე** (1000-ზე მეტი დაზარალებული ოჯახით):

  1) ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3-ში;
  2) ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩაზე;
  3) ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2-ში;
  4) ქ. თბილისში, კოსმონავტების ქ N 45-47-49-ში;
  5) ქ. თბილისში, ბოხუას ქ. N10-ში;
  6) ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. N16-ში

გარდა ამის, ვარ **საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს** წევრი.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ **საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ორგანიზება გაეწია არაერთ მნიშვნელოვან სხდომას, შეხვედრასა თუ კონფერენციას:**

2019 წლის ნოემბერში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა 2019 წელს (იანვარი-ივნისი) გაწეული საქმიანობის ანგარიში.**

ამასთან, მ/წლის 29 თებერვალს-1 მარტს **ჩემი ინიციატივითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა 2 დღიანი კონფერენცია თემაზე „სამშენებლო სამართალი და სიცოცხლისთვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობა“** - კონფერენციაში მონაწილეობა მივიღეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების, სასამართლოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, ბიზნესისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა. კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებმა სამშენებლო სამართლის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, სწორი ქალაქგეგმარებისა და ამ კუთხით დედაქალაქში არსებული გამოწვევების თაობაზე იმსჯელეს.

გარდა ამისა, მუდმივ მზაობას გამოვთქვამ ხელი შევუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდა თაობის მაქსიმალურ ჩართულობას, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს პერმანენტულად ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, შეიძინონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და აიმაღლონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

სწორედ ამ მიმართულებით მ/წლის 22 ივლისს კომისიის მიერ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ევროპის უნივერსიტეტთან, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის უნივერსიტეტის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში პრაქტიკული კომპონენტის გავლას.

პატივისცემით,

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე